

თემა 26

თვეები

месяцы

ამოცანები:

- მოსწავლეები ისწავლიან როგორ ისაუბრონ თვეების შესახებ.
- გაკვეთილი ფოკუსირებულია წელიწადის იმ თვეებსა და თარიღებზე, როდესაც სხვადასხვა დღესასწაული ხდება.
- მოსწავლეები ისწავლიან რიგობით რიცხვით სახელებს.
- გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს თემაზე: წელიწადის თორმეტი თვე.

გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა:

1. მასწავლებელი იწყებს რიგობითი რიცხვითი სახელების სწავლებით. გახსენება: ათვლევიწებს ბავშვებს 1-დან 12-მდე. შემდეგ გამოიყვანს 12 ბავშვს და გაათვლევიწებს (პირველი, მეორე, მესამე...). თითოეულს გადაეცემა ლამაზად გაფორმებული რომაული ციფრი ფურცელზე.
2. მასწავლებელი კედელზე აკრავს რაოდენობითი რიცხვითი სახელებით ფურცლებს (1-12); ამასთან, ყველა შესაბამის ციფრს (არაბულს და რომაულს) ერთი ფერი აქვთ. მასწავლებელი სვამს ბავშვებს და სათითაოდ იმახებს რიგობის მიხედვით: სთხოვს, მოძებნოს შესაბამისი (არაბული) ციფრი და იქ დადგეს. დამატებითი მითითებაც დასაშვებია - მოძებნოს ფერის მიხედვით და ისე მოახდინოს იდენტიფიკაცია.
3. ახლა ბარათებს ერთად დაადებინებს და ბავშვები შეუცვლის თანამიმდევრობას (ყველა მიიღებს განსხვავებულ რიგით ნიმერს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ახლა უკვე ერთად, ყველამ მოიძიოს შესაბამისი ციფრი... ეს აქტივობა რამდენჯერმე განმეორდება.
4. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს:
ამბავი:
ამინი, ელმირა და მათი მეგობრები სკოლიდან სახლში ბრუნდებიან. ელმირა, რომელიც კარგად ვერ იმახსოვრებს თარიღებს, ეპატიჟება სალის თავის დაბადების დღეზე. როგორც წელიწადის თვეებზე საუბრისას ირკვევა, ელმირამ მხოლოდ თავისი დაბადების დღე იცის, რომელ თვეშია. მას მოუწევს დაიმახსოვროს/ისწავლოს თვეების სახელები.

5. მასწავლებელი გააკრავს ბანერს, რომელიც სტრუქტურირებულია 4 სეზონად, 3-3 თვით.

6. არ არის საჭირო, ერთ ჯერზე 12-ვე თვის სახელების დასწავლა. ბავშვების მოტივაციის აღძვრის მიზნით, მასწავლებელი ეკითხება ყველა ბავშვს, როდისაა მისი დაბადების დღე. სვარაუდოდ, ერთ-ერთი სეზონი „შეივსება“ და პირველ გაკვეთილზე ამ სეზონის (მაგალითად, ზამთრის) თვეებზე ხდება აქცენტირება.

7. მომდევნო გაკვეთილებზეც სეზონების მიხედვით ხორციელდება ვარჯიში თვეების სახელების დამახსოვრებაზე. ეს არ უნდა გახდეს ბავშვისთვის დამღლეელი და უინტერესო და უნდა შევაშველოთ გამახალისებელი თამაშები (დასაშვებია, თემასთან რომ არ იყოს კავშირში):

8. გამახალისებელი (განსატვირთი) თამაშები

თამაში # 31-1: Caanacvle sityva

აირჩიეთ ბავშვის საყვარელი რომელიმე საბავშვო ლექსი და წახალისეთ, რომ შეცვალოს სიტყვები, გაანაცვლოს ლექსის ტექსტში სიტყვები, მაგალითად, საკუთარი სახელით, საყვარელი ნუგზარის, ადგილის ან მეგობრის სახელით.

თამაში # 31-2: რომელი ჟღერს სხვანაირად?

უთხარით ბავშვს სამი სიტყვა, აქედან ორი, რომელიც ირითმება, ხოლო ერთი განსხვავებული, მაგ., ბალი, თვალი, მაგიდა. ჰკითხეთ ბავშვს, რომელი სიტყვა ჟღერს დანარცენი ორისგან განსხვავებულად.

თამაში # 31-3: ვისი სული გსურთ?: გუნდები დგებიან ერთმანეთის პირისპირ

ორ მწკრივად, 3-4 მეტრის დაშორებით. მოთამაშეები მაგრად ჩაკიდებენ ერთმანეთს ხელს. ერთი გუნდი ყვირის: „ვისი სული გსურთ?“, მეორე გუნდიდან უნდა დაასახელონ პირველი გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე (მაგალითად, „მარინასი!“). დასახელებული ბავშვი გამოიქცევა მოწინააღმდეგეთა გუნდისკენ და შეეცდება მწკრივის გარღვევას. თუკი ამას მოახერხებს, შეუძლია თავის

ლექსიკა:

წელიწადის თვეები: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. დღესასწაულები: ახალი წელი, დაბადების დღე... რიგობითი რიცხვები: პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეოცე, ოცდამეერთე.
--

საკვანძო წინადადებები/გრამატიკა

- ჩემი დაბადების დღე 2 მაისს არის (ან 2 მაისსაა)
- ახლა აპრილია
- ნიკა, როდის არის შენი დაბადების დღე?
- ჩემი დაბადების დღის თარიღია 31 აგვისტო
- შობა 25 დეკემბერს არის (ან 25 დეკემბერსაა)
- თომას დაბადების დღე შობის დღესასწაულამდეა

რიგობითი და რაოდენობრივი რიცხვები:

- ოქტომბერში 31 დღეა (რაოდენობრივი)
- 31-ე დღეს, ოქტომბერში ჰელოუინის დღესასწაულია (რიგობითი)

რიგობით რიცხვებს ემატება თავსართი (მე) ან ბოლოსართი (ე), მაგალითად: 31-ე ან მე-2

რესურსი: **ლამაზი ცხრილი თვეების სახელებითა და მცირე ნახატებით.**

ბარათები ციფრებით - 1-დან 10-მდე.

ბარათები რომაული ციფრებით. (ამ ეტაპზე - მხოლოდ I-III)